პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 აპრილი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 65 (9476) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## თბილისის საერთაშორისო ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა

# ჯერ მხოლოდ დასაწყისია

**თბილისის მრავალდღიანი საერთაშორისო ველორბოლის მონაწილეებს ჯერჯერობით არ სწყალობს ბედი. ცივი, სუსხიანი ამინდი და წვრილი წვიმა ველოსიპედისტებს ხელს უშლის თავისუფლად იგრძნონ თავი ტრასაზე და მაქსიმალური სისწრაფე განავითარონ იქ, სადაც გარემოს პროფილი ამის საშუალებას იძლევა. და მაინც რბოლის მეორე ეტაპზე (თბილისი — ანანური — ჯვარი) საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ შეჯიბრებაში ერთი დღის დაგვიანებით იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანას ველოსიპედისტებიც ჩაერთვნენ.**

სტარტის შემდეგ (სანაპიროზე, რესტორან „არაგვთან") მონაწილეთა გრძელი კოლონა ფასანაურისკენ დაიძრა. იყო რამდენიმე ცდა დაწინაურებისა, მაგრამ ძირითადმა ჯგუფმა ყველა ასეთი ცდა დროზე ალკვეთა. ანანურის აღმართზე რბოლა მაინც გაიყო ორად და ლიდერობა ხელთ იგდო თხუთმეტკაციანმა ჯგუფმა, რომელშიც ყველა გუნდს ჰყავდა თითო ოროლა წარმომადგენელი.

ფასანაურამდე 10 კილომეტრით ადრე მონაწილეებმა უკან იბრუნეს პირი. თავდაღმართზე რბოლის სისწრაფემ იმატა და სადღაც ნატახტართან დაწინაურებულებს ძირითადი ჯგუფი წამოეწია. ფინიში მსაჯთა კოლეგიამ ჯვრის მონასტრის მისადგომებთან მოაწყო. ყველაზე გამძლე და აქტიურ ველოსიპედისტებს თავის გამოჩენის საშუალება სწორედ ამ საფინიშო აღმართზე მიეცათ.

იხ. მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გუშინ...

საქართველოს განათლების სამინისტროში გაიმართა სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის რესპუბლიკური ნაკრები გუნდების [illegible] დების ხელმძღვანელობის შტაბის მორიგი სხდომა. განიხილეს საკ[illegible] [illegible] შებისთვის რესპუბლიკის მოკრივეები. აღინიშნა, რომ ტყავის ხელთათმანის ნორჩ ოსტატებს საგრძნობლად სერიოზული პრობლემები არა აქვთ. კარგა ხანია ნაკრების კანდიდატები გეგმაზომიერად ვარჯიშობენ და წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში.



# ათასობით მაყურებლის წინაშე

**სპორტის** ბევრმა მოყვარულმა უკვე ნახა ნორჩ მძლეოსანთა შეჯიბრება „დინამოს" სტადიონზე, რომელიც საფეხბურთო სეზონის პირველი მატჩის დროს, შესვენებისას ჩატარდა. ეს 15-წუთიანი სტარტები საქართველოს სპორტსახკომს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს მარტო პაუზების შესავსებად არ მოუგონებია. ამ შეჯიბრების დაწესებით ბოლო მოეღება ჩვენში მძლეოსანთა „კარჩაკეტილობას". მოგეხსენებათ, აქამდე საქართველოში მძლეოსნობის ავ-კარგზე ლაპარაკი ფაქტიურად მხოლოდ მაყურებელთა ვიწრო წრეს შეეძლო და სხვადასხვა რეგიონში გაწეული მუშაობის მსაჯულნიც მხოლოდ ისინი იყვნენ.

„საქართველოს ტელევიზიის პრიზის" გათამაშება კი დიდი აუდიტორიის წინაშე ტარდება. აქ სრულიად გამომჟღავნდება, თუ ვინ რას აკეთებს სპორტის ამ მასობრივი სახეობის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის. ამაში პირველივე შეჯიბრებამ დაგვარწმუნა. 10 მარტს გამართულ ასპარეზობაზე მომდევნო ეტაპზე გამსვლის უფლება მოიპოვეს გარდაბნის, თბილისის საბურთალო რაიონის, ქობულეთისა და წყალტუბოს წარმომადგენლებმა. ერთგვარ სიურპრიზად შეიძლება ჩაითვალოს ქობულეთელ სპორტსმენთა წარმატება.

მორიგი შეჯიბრება 3 აპრილს გაიმართება. ამჯერად სარბენ ბილიკებზე გამოვლენ თბილისის კიროვის რაიონის, ზუგდიდისა და მისი რაიონის, ცხინვალის, მახარაძის, სამტრედიის, კასპის, საგარეჯოს რაიონების გუნდები, აგრეთვე ქ. მარნეულისა და მისი რაიონის მძლეოსნები.

## კვირა

# 5

## აპრილი

### იწვევენ ყველა მსურველს

**რედაქციაში მივიღეთ პირველი ცნობები იმის შესახებ თუ 5 აპრილს — „ჯანმრთელობის დღეს" — ვინ, სად და რა ღონისძიებებს გამართავს.**

● **თბილისის** სპორტკომიტეტმა დაამტკიცა 5 აპრილის მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების გეგმა. პროგრამაშია: სპორტული თამაშები, ტურიზმი, ჭადრაკი, ძალოსნობა, მძლეოსნობა, ჭიდაობა, საკონტროლო და საჩვენებელი შეჯიბრებები. ღონისძიებები ჩატარდება ქალაქის რაიონების მიხედვით ყველა სპორტულ ბაზაზე, მათ შორის საცხოვრებელ ადგილებში. ასპარეზობები დაიწყება დილის 10 საათიდან.

● **ქუთაისიდან** გვაცნობეს, რომ აქ ღონისძიებები შაბათს დაიწყება, რადგან ყოველი შაბათი ტრადიციულად სპორტული დღეა. მასობრივ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის წარმოება-დაწესებულებების და სასწავლებლების კოლექტივები, მოსახლეობა. დასაწყისი 10 საათზე.

● **„კოლმეურნის"** თბილისის საქალაქო საბჭო გლდანის საჭიდაო დარბაზში იწვევს ქართული ჭიდაობის მოყვარულებს. დასაწყისი 14 საათზე; სპორტსაზოგადოება და კალინინის რაიონის სპორტკომიტეტი იმავე დღეს მთაწმინდისა და კიროვის პარკებში, ვარდისუბნისა და ოქროყანის სტადიონებზე ერთობლივად ჩაატარებენ მასობრივ შეჯიბრებებს მინიფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, სიმძიმეების აწევასა და ბაგირის გადაძალვაში, მოეწყობა აგრეთვე ტურისტული ლაშქრობა. ღონისძიებები დაიწყება 12 საათზე.

# მხოლოდ ორნი

**ჩვენი** რესპუბლიკის ნორჩი მოცურავეები, დინამოელები თემურ გუგუბერიძე და გია ბახტაძე პერსპექტიულ სპორტსმენებად ითვლებიან და ჯერჯერობით იმედებს ამართლებენ. ახლახან მათ წარმატებით იასპარეზეს გროზნოში გამართულ ნორჩ მოცურავეთა (1973-74 წ.წ. დაბადებულნი) საკავშირო პირველობაზე, რომელიც გაზეთ „პიონერსკაია პრავდას" პრიზზე ჩატარდა.

გუგუბერიძემ (მწვრთნელი ნიკოლაი იახიოპულო) მეორე ადგილი დაიკავა 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (შესაბამისად 57,2 და 2.03,8), მესამე ადგილი — 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში (2.21,1).

ბახტაძე (მწვრთნელი ელენე ზაქარეიშვილი) 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მეორე იყო (4.56,6).

ამ შეჯიბრებაზე ჩვენმა დანარჩენმა მოცურავეებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს.



უკან დარჩა რამდენიმე მეცადინეობა. წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ახლა უფრო თამამად, უფრო ლაღად ასრულებენ ტანვარჯიშულ და აკრობატულ ილეთებს, ნორჩებს დიდ სიხარულს გვრის ყოველი მეცადინეობა, რაც მათ გ. ეგნატაშვილის სახელობის თბილისის ტანვარჯიშულ სპორტულ სკოლაში უტარდებათ. ისინი აქ, როგორც ადრე ვიუწყებოდით, წყნეთიდან საგანგებოდ ჩამოყავთ სამეცადინოდ სპეციალური ავტობუსით.

ს უ რ ა თ ზ ე: წყნეთის საბავშვო სახლის აღსაზრდელები მეცადინეობაზე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# 3—5 აპრილი

## თბილისის ჭადრაკის სასახლე

### საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ჭადრაკში

### საქართველო (ქალები) — იუგოსლავია (ვაჟები)

ჩვენს გუნდში გამოვლენ: მაია ჩიბურდანიძე, ელენა ახმილოვსკაია, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი და ქეთევან არახამია. დასაწყისი 16 საათზე.

## ფრეთა ლიმიტი კვლავ ძალაშია

**31 მარტს** მოსკოვში შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა. განიხილეს ჩვენს ფეხბურთში არადამაკმაყოფილებელი მსაჯობის, აგრეთვე, მიმდინარე ჩემპიონატში უმაღლესი და I ლიგის გუნდებისთვის ფრეთა ლიმიტის შენარჩუნების საკითხები.

ფრეთა ლიმიტი წლეულსაც ძალაში დარჩა: უმაღლეს ლიგაში 10 ფრე, I ლიგაში — 12.

# ყველა მორბენალი — სტარტზე

**ასეთი** ასპარეზობა, უფრო ზუსტად ამანათრბენი, პირველად იმართება საქართველოში. 5 აპრილს მცხეთის ტყე-პარკის სამკილომეტრიან წრეზე ჩატარდება მეტად საინტერესო შეჯიბრება — რესპუბლიკის ჩემპიონატი და პირველობა გზატკეცილზე რბენაში. მთლიანი დისტანცია — 14,8 კილომეტრი 11 ეტაპად დაიყო: **1.600** მ (გოგონები); **2.800** (ჭაბუკები); **3.1000** (გოგონები); **4.1500** (ვაჟები); **5.2000** (ქალები); **6.3000** (ვაჟები); **7.2000** (ჭაბუკები); **8.1500** (ქალები), **9.1000** (ჭაბუკები); **10.800** (გოგონები); **11.600** (ჭაბუკები).

ამანათრბენი მძლეოსანთა მასობრივი ასპარეზობა იქნება: სტარტზე გამოვლენ აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, რუსთავის, ახალციხის, გარდაბნის, აგრეთვე თბილისის საშუალო სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების ნაკრები გუნდები (ფიზკულტურის ინსტიტუტი ცალკე გუნდს გამოიყვანს), „დინამოს", პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებათა სპორტსმენები, არმიელი მორბენლები. მოწვეულნი არიან აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდებიც. შეჯიბრება მცხეთის ტყე-პარკში 14 საათზე დაიწყება.



სურათზე თქვენ ხედავთ საქართველოს აკრობატთა ნაკრების წევრებს ნატალია ანისიმოვას, ინგა გიორგობიანს და სვეტლანა მაკარიჩევას, რომლებმაც ახლახან მონაწილეობა მიიღეს ერევანში გამართულ აკრობატთა საკავშირო ჩემპიონატში.

იხ. მე-2 გვ.





კალათბურთში საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის წინ

# მთელი წლის მანძილზე

**ჩვენი კორესპონდენტი მაია მესხია შეხვდა თბილისის „დინამოს" ყოფილ კალათბურთელს, სპორტის ოსტატს, ამჟამად სოხუმის რკინიგზის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს, აფხაზეთის ვაჟთა კალათბურთის გუნდის მწვრთნელს ვალერი ჯგერენაიას და რამდენიმე კითხვით მიმართა მას:**

● **საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში წლეულს ახალი, მიმოსვლითი სისტემით ჩატარდება....**

— დიახ, ამ სიახლის მიზანია საკალათბურთო მოძრაობის გამოცოცხლება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდების აღმოჩენა და მომზადება. თუ ადრე გუნდები ჩემპიონატისთვის ეპიზოდურად ემზადებოდნენ, ახლა იძულებული იქნებიან მთელი წლის განმავლობაში ივარჯიშონ. ანალოგიური სისტემით ჩემპიონატი დიდი ხანია ტარდება ლიტვაში. შედეგიც სახეზეა — რესპუბლიკის ორი გუნდი უმაღლეს ლიგაში გამოდის.

● **როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თბილისის „დინამოს" ოსტატებმა თავისი ქალაქების და უმაღლესი სასწავლებლების გუნდების ღირსება უნდა დაიცვან?**

— გადაწყვეტილება სწორია. ჯერ ერთი, ჩემპიონატიდან ჩემპიონატამდე სპორტსმენები აქტიურად ივარჯიშებენ, მეორეც: ეს ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში კალათბურთის პოპულარიზაციას, სულ უფრო მეტ მოზარდს მიიზიდავს სექციებში სავარჯიშოდ.

● **რა სირთულეებს შექმნის ჩემპიონატის ახალი წესით ჩატარება?**

— ასეთი ჩემპიონატი მოითხოვს დიდი საორგანიზაციო მუშაობის ჩატარებას როგორც თბილისში, ისე ქალაქებში და რაიონებში. მხედველობაში მაქვს სპორტდარბაზების მომზადება, გუნდების დაბინავება, კვება და ასე შემდეგ. ამიტომ სპორტის მესვეურებს ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების აქტიური მხარდაჭერის გარეშე გაუჭირდებათ მუშაობა. პრობლემებიც გაჩნდება, პირველ რიგში მსაჯებთან დაკავშირებით, მაგრამ იმედი მაქვს, რომ სწორედ ასეთი ჩემპიონატი შეუწყობს ხელს კვალიფიციური მსაჯების მომზადების საქმეს.

● **კალათბურთს რესპუბლიკის ბევრ რეგიონში ნაკლები ყურადღება ექცევა, აფხაზეთში რა მდგომარეობაა?**

— თავს ვერაფრით მოვიწონებთ. მარტო ის ფაქტი, რომ თბილისის „დინამოში" აფხაზეთის არც ერთი წარმომადგენელი არ თამაშობს, ბევრზე მეტყველებს. ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სპორტული მუშაობა ჩამკვდარია. გუნდის თითქმის ყველა მოთამაშე სოხუმის სპორტსკოლის აღზრდილია. იქ მუშაობს მწვრთნელთა პატარა ჯგუფი საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ა. სედოვის ხელმძღვანელობით. ჩამორჩება სტუდენტური კალათბურთიც, ამიტომ აფხაზეთის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელებმა, კალათბურთის ფედერაციასთან შეთანხმებით, გადაწყვიტეს ერთ-ერთი ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოეყალიბებინათ კალათბურთის გუნდი და რადგან აფხაზეთის ნაკრების წევრთა დიდი ნაწილი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში სწავლობს, გუნდიც იქ ჩამოყალიბდა. ამ საქმეში დახმარება აღმოგვიჩინეს ინსტიტუტის რექტორმა და სპორტკლუბის ხელმძღვანელმა.

● **რამდენიმე სიტყვა თქვენს გუნდზეც გვითხარით.**

— გუნდის ძალას წარმოადგენს 1969-70 წლებში დაბადებული კალათბურთელები. გვყავს რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშე: რ. პირველი, კ. ჩუბინიძე, გ. ჭითავა, ე. მატუა და სხვები, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ. ჩვენი გუნდის ღირსებას დაიცავს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სოხუმელი კ. ბალათურია, რომელიც ადრე თბილისის „დინამოში" თამაშობდა. ჯერჯერობით ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა გამოცდილების უქონლობაა.

● **საქართველოს ჩემპიონატში როგორ აპირებთ გამოსვლას?**

— ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს თბილისის 6 საკმაოდ ძლიერი გუნდი. ზოგიერთი სკეპტიკოსის აზრით, ასპარეზობა ფაქტიურად თბილისის პირველობად გადაიქცევა. ვფიქრობ, ამ ეტაპზე თბილისის გუნდები დაწინაურდებიან, მაგრამ თანდათან სხვა ქალაქების გუნდებიც მოღონიერდებიან.

## გამოძახილი!




ჩვენი გაზეთის 19 და 22 მარტის ნომრებში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილები, რომელთაგან ერთი შეეხებოდა მცხეთაში წალენჯიხის „სქურის" ფეხბურთელთა მასპინძლობისა და ამ გუნდის ადგილობრივ „არმაზთან" შეხვედრისას მომხდარ სამარცხვინო ფაქტებს, მეორე წერილში კი ლაპარაკი იყო ზაჰესში ძველი სტადიონის განადგურებასა და ახლისთვის რამდენიმე ადგილზე გამოყოფილი მიწის ნაკვეთების მიტაცებაზე.

უკვე 26 მარტს მცხეთის რაიონულმა გაზეთმა „მცხეთამ" „ლელოს" პუბლიკაციის პასუხად დაბეჭდა ვრცელი წერილი სათაურით — „კრიტიკა სამართლიანია". რაკი წერილი ჩვენს პუბლიკაციას ეხება, ბევრს ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ თავს უფლებას მივცემთ მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ „მცხეთამ" განგაშის ზარს შემოჰკრა, მკითხველებს აგრძნობინა, რომ „ჭირთა მალვამ" ჩრდილი მიაყენა მთელ რაიონს. წერილში ვკითხულობთ: „მარტო ეს ორი ფაქტიც (იგულისხმება „ლელოს" ორი წერილი.—რედ.) ნათლად მეტყველებს, რომ სპორტი ჩვენს რაიონში დიდ პატივში აღარ არის; გაუფერულდნენ მცხეთელ სპორტსმენთა სახელოვანი ტრადიციები, მათ წარმატება-წარუმატებლობას საფუძვლიანი შეფასებანი აღარ ეძლევა, კიდევ უფრო დაძველდნენ ძველი ბაზები; ახლის შენება კი ჩიხშია მოქცეული. რესტორნები, სასადილო-საჭაშნიკეები სოკოებივით მრავლდება მცხეთაში, სპორტული ბაზებისა და კომპლექსების პროექტები კი მტვერწაყრილი აწყვია წლობით. ფიზკულტურისა და სპორტისადმი — ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება არ გვეპატიება. კრიტიკა სამართლიანია. სჯობდა სპორტის მოყვარულები, ქომაგები, ვეტერანები, ამაზე ადრე თვითონ დავფიქრებულიყავით. მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს".

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „ვიდრე უფროსები კინკლაობენ..."

24 მარტს ამ სათაურით „ლელოს" ფურცლებზე გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში ნათქვამი იყო, რომ „განთიადის" ცურვის სპორტული სკოლის მოსწავლეები სამეცადინოდ არ დაუშვეს სანაპიროს საწყლოსნო კომპლექსში, ვინაიდან ხსენებულ სპორტულ საზოგადოებას გადახდილი არ ჰქონდა საჭირო თანხა, კვარტალი კი იწურებოდა.

აი, რა გვაცნობა თავის მხრივ კომპლექსის დირექტორმა ვ. გოიაშვილმა: „კომპლექსი სამეურნეო ანგარიშზეა და ვალდებულია მტკიცედ დაიცვას ფინანსური კანონი. „განთიადმა" 21 მარტს, შაბათს გვაცნობა, რომ თანხას ვერ გადაიხდიდა და 15 აპრილამდე ითხოვა გადავადება. მოიჯარე ორგანიზაციები ვალდებული არიან თანხა ყოველი თვის 20 რიცხვამდე გადმოგვირიცხონ. ვითვალისწინებთ რა თხოვნას, ყოველი კვარტალის პირველ ორ თვეში მოიჯარეებს შეღავათს ვაძლევთ, მაგრამ კვარტალის ბოლო თვის 20 რიცხვამდე დავალიანება მთლიანად უნდა გასწორდეს. „განთიადმა" იანვარში გადაიხადა დეკემბრის ვალი. იანვრისა — თებერვალში, თებერვლისა კი — მარტში. ასე გრძელდება სისტემატურად. გვყავს სხვა დებიტორებიც და პირველი კვარტალის ბოლოს დავალიანებამ შეადგინა 45 ათასი მანეთი, რაც კვარტალის გეგმის მესამედია".

**რედაქციისაგან:** ჩვენ ადრე გამოვაქვეყნეთ „განთიადის" ხელმძღვანელების პასუხი, რომ ზომები მიღებულია და მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდება. „რა ზომები მიღებული, როცა თავი არავის შეუწუხებია?" — კითხულობს რედაქციაში გამოგზავნილ პასუხში ვ. გოიაშვილი.

**სპეციალისტის კომენტარი.** ჟ. მანჯგალაძე — საქართველოს სპორტსახკომის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი: „სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციებს დამტკიცებული აქვთ საფინანსო გეგმა, რომელიც მათთვის კანონია. „განთიადს" უფლება არ ჰქონდა კვარტალის დასასრულისთვის არ დაეფარა დავალიანება. საგარანტიო წერილი ამ შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია, რათა შეცდომები მომავალში აღარ განმეორდეს".

## მოკლედ

**თერჯოლა.** დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს მიეძღვნა რაიონული პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გუნდებს შორის.

პირველი ადგილი ნახშირღელელმა მსროლელებმა დაიკავეს, მეორე ადგილზე გავიდა თერჯოლის სანერგე საბჭოთა მეურნეობის გუნდი, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდათ ზედა სიმონეთის კოლმეურნეობის სპორტსმენებს.

პირად პირველობაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობის გუნდის წევრმა ტარიელ აბჟანდაძემ, მეორე ადგილი დაიკავა ამირან სურამელმა (ჩხარი), მესამე — ქვედა სიმონეთელმა თენგიზ აბულაძემ.

ქალთა შორის საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: ნახშირღელის კოლმეურნეობის გუნდის წევრი ვარა კუტივაძე, თერჯოლის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მუშაკი ლამზირა ბოჭორიშვილი, ზედა სიმონეთელი თინა გიორგაძე.

**ვანო კუტალაძე,**
**„ლელოს" კორესპონდენტი.**

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სპორტულ აკრობატიკაში

# კითხვები უპასუხოდ არ დარჩება

**ერევნის საკონცერტო-სპორტულ კომპლექსში ამ დღეებში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სპორტულ აკრობატიკაში. საქართველოს აკრობატების მიზანი ამ შეჯიბრებაში მესამე გუნდური ადგილის დაკავება იყო. ჩვენმა სპორტსმენებმა თავიანთ უშუალო მეტოქეს — ლენინგრადის გუნდს — ქულათა გვარიანი მარაგით გაუსწრეს და თავისი „ტრადიციული" მესამე ადგილი დაიკავეს — რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის წარმომადგენელთა შემდეგ. თუმცა, პირველი დღის შედეგებით საქართველოს აკრობატები მეორე ადგილზე იყვნენ.**

სავალდებულო პროგრამის შემდეგ ისეთ საპრესტიჟო სახეობაში, როგორიც ქალთა და ვაჟთა ჯგუფური ვარჯიშია, ლიდერობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი, სვეტლანა მაკარიჩევა, გოდერძი ახობაძე, გია ალაპიშვილი, ოლეგ სლივკოვი და ვახტანგ ბოტკოველი. მხტომელები ფატი სულაქველიძე და 16 წლის ჯონდო მარიდაშვილი შესაბამისად მესამე-მეოთხე და მეორე-მესამე ადგილებს იყოფდნენ. ფატი — სტავროპოლელ ანჟელა სისოევასთან, ჯონდო კი — იაროსლაველ ევგენი ივანოვთან. მესამე ადგილზე აღმოჩნდა ამ შეჯიბრების დებიუტანტი, საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი, ალექსანდრე მავრანგელოვის ოთხეული: ილია გოგორიშვილი, ვაჟა არაყიშვილი, დიმიტრი კარტოზია და ემზარ აბუაშვილი. უკეთეს დასაწყისს კაცი ვერც ინატრებდა. სამწუხაროდ, მეორე დღეს, ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობისას ჩვენმა აკრობატებმა პოზიციები დათმეს. ქალთა სამეულმა პირველ ვარჯიშში კარგად გაართვა თავი ზერთულ პირამიდა „თბილისს" და მაყურებლის ტაშიც დაიმსახურა. მაგრამ უფრო მარტივი ელემენტის შესრულებისას სვეტლანა მაკარიჩევამ მოულოდნელად თავი ვერ შეიმაგრა და ჩამოვარდა. ამას შემდეგი გამოსვლისას ახალი შეცდომები მოჰყვა. და აი, როცა აბსოლუტური პირველობის მოპოვების ყოველგვარი იმედი დაიკარგა, სამეულმა უჩვენა ის, რასაც მისგან ელოდნენ. ჩვენმა სპორტსმენებმა ჩვეული ტემპით, თითქმის უშეცდომოდ ივარჯიშეს და ყველაზე მაღალი შეფასება — 9,7 ქულა დაიმსახურეს. ამ წარმატებამ ისინი მესამე ვარჯიშის ფინალში გაიყვანა. შეჯიბრების მესამე და მეოთხე დღეს გოგონებმა თითო ვარჯიშში კვლავ საუკეთესო შეფასება დაიმსახურეს და მესამე ვარჯიშში მცირე ოქროს მედალიც მოიპოვეს. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ სავალდებულო პროგრამას თავი ვერ გაართვა მსოფლიო ჩემპიონმა — რიგის სამეულმა. მწვრთნელმა პავლე კაპულერმა სპორტსმენები შეჯიბრებიდან მოხსნა.



ფატი სულაქველიძე და მისი მწვრთნელი ჯუმბერ ლაშხი.

კარგად დაიწყეს ნებისმიერი ვარჯიში ჩვენი მწვრთნელების ანატოლი სლივკოვისა და ალექსანდრე მავრანგელოვის ოთხეულებმა. ისინი პირამიდის შემდეგაც ინარჩუნებდნენ მოწინავე პოზიციებს, მაგრამ მეორე და მესამე ვარჯიშში ინდივიდუალური ილეთები სუსტად შეასრულეს და V-VI ადგილებზე გადაინაცვლეს. ფინალში მათ მხოლოდ თითო ნაბიჯით წაიწიეს წინ. ბოლო დღეს, როცა მონაწილენი ცალკეულ ვარჯიშებს ასრულებდნენ, სლივკოვის ოთხეული გოდერძი ახობაძის ავადმყოფობის გამო სარბიელზე არ გამოსულა. გაგვახარა მავრანგელოვის ოთხეულმა, რომელმაც პირველ და



ილია გოგორიშვილი, ვაჟა არაყიშვილი, დიმიტრი კარტოზია, ემზარ აბუაშვილი.

მეორე ვარჯიშში ორი მცირე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მხტომელთა ასპარეზობაში ფინალური შეჯიბრების წინ ნებისმიერი პროგრამის შემდეგ ფატი სულაქველიძეს მესამე შედეგი ჰქონდა ნაჩვენები, ხოლო ჯონდო მარიდაშვილსა და გია მარმარაშვილს შესაბამისად მესამე და მერვე. ფატიმ ფინალში თავისი შარშანდელი მიღწევა გაიმეორა და ჩვენი გუნდიდან ერთადერთმა მოიპოვა ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი. თუმცა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ იგი მეორე აღმოჩნდა — ყველასთვის მოულოდნელად, ტოლიატელ ფილიმონოვას ადრე ვარჯიშის ნაკლები სირთულისთვის მოხსნილი 2 ქულა დაუმატეს და ამით საშუალება მისცეს ქართველი სპორტსმენი ჩამოეტოვებინა.

ფინალში შედარებით წარუმატებლად გამოვიდა ახალბედა ჯონდო მარიდაშვილი. იგი მესამე იყო მხოლოდ მე-3 ვარჯიშში და საერთო ჩათვლაში VI ადგილზე გადაინაცვლა. სამაგიეროდ მთელი ოთხი საფეხურით წინ წაიწია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გია მარმარაშვილმა, რომელმაც ცალკეულ სახეობებშიც გამოიჩინა თავი და პირველ ვარჯიშში მეორე ადგილი დაიკავა. ჯონდო მარიდაშვილმა მესამე ვარჯიშში მცირე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

შერეულ წყვილთა ფინალურ ექვსეულში ბოლო, მეექვსე შედეგით მოხვდა კარინა სარქისიანი და ჰამლეტ ღარიბოვი. საბოლოოდ მათ მეოთხე ადგილი ხვდათ.

ჩვენი ძირითადი გუნდიდან ფინალს მიღმა დარჩა ქალთა წყვილი — ნატალია ვეტოშკინა, მზია კოსტავა და ძალისმიერი წყვილი ალექსანდრე ტოლინჯაშვილი, დავით სამუნაშვილი.

საერთოდ, გუნდმა სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ის, რომ ფინალში ჩვენი 16 აკრობატი გავიდა, თავისთავად ბევრს ნიშნავს. წინ საკავშირო თასის გათამაშებაა, რომელიც ბევრ კითხვაზე გაგვცემს პასუხს.

**ჯემალ კასრაძე,**
**„ლელოს" სპეც. კორ.**

ერევანი.

## ფეხბურთი

**Советский спорт**

**„სოვეტსკი სპორტმა“ 1 აპრილს გამოაქვეყნა წერილი, სადაც ლაპარაკია თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა წარუმატებლობაზე მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის სასტარტო მატჩებში.**

**გაზეთის კორესპონდენტი დ. კაკაბაძე ესაუბრა თბილისის „დინამოს“ უფროს მწვრთნელს კ. ახათიანს, ამ საუბარს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებსაც:**

„ასეთი მარცხიანი სტარტი, არ დაგიმალავთ, ერთობ მოულოდნელი იყო პირველ ყოვლისა ჩემთვის. მთელი მოსამზადებელი პერიოდი, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, დინამოელებმა კარგ დონეზე ჩაატარეს და დამაკმაყოფილებლად გაუძლეს საკმაოდ მაღალ დატვირთვებს. საკონტროლო მატჩებმა, მათ შორის უცხოეთის გუნდებთანაც, ხელი შეგვიწყო გამოგვესწორებინა ტექნიკური და ტაქტიკური ხასიათის ზოგიერთი ნაკლოვანება, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ოფიციალური ტურნირების დაწყებამდე მოგვეწესრიგებინა სათამაშო ურთიერთკავშირი. ერთი სიტყვით, გუნდის მომზადება სსრ კავშირის საიუბილეო პირველობისთვის მწვრთნელებში ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ დაიწყო ჩემპიონატი და გეგმებიც აგვერია.

თბილისის „დინამო“ დღეს, სამწუხაროდ, ერთადერთია უმაღლეს ლიგაში, რომელსაც ჯერ ქულა არ აუღია. კლუბის ისტორიაში აქამდე ყველაზე მარცხიანად ითვლებოდა 1958 წლის საკავშირო პირველობის სტარტი, როცა თბილისელებმა სეზონის პირველ 4 მატჩში სამი წააგეს და მხოლოდ ერთი მოიგეს. ჩემთვის, როგორც თბილისის „დინამოს“ ახლანდელი უფროსი მწვრთნელისთვის, განსაკუთრებით უსიამოვნოა ის ფაქტი, რომ ეს უსიხარულო რეკორდი გუნდმა სწორედ ჩემი დებიუტის წელს დაამყარა.

ჩვენთვის, გვენდეთ, გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა მცირეოდენი საბაბიც კი რომ გვქონდეს ვუსაყვედუროთ ფეხბურთელებს მოუნდომებლობა, სიზარმაცე, ან ის, რომ ვინმე თავს არიდებს სრული ძალით თამაშს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა სამივე მატჩი სრული შესაძლებლობით ითამაშეს და ძალებიც არ დაუზოგავთ. ორ მატჩში „ტორპედოსთან“ და „მეტალისტთან“ უკეთესი შედეგიც შეიძლებოდა გვქონოდა, მაგრამ ცალკეულ მოთამაშეთა დასანანმა შეცდომებმა საშუალება არ მოგვცა თუნდაც ერთი ქულა აგვეღო. დღეს ჩვენი მთავარი პრობლემაა მაღალი კლასის ფორვარდების ნაკლებობა. სწორედ ამ მიზეზით იძულებული ვართ ჩემპიონატის მატჩები პრაქტიკულად ერთადერთი თავდამსხმელით ჩავატაროთ. საკადრისი უნდა მივუზღოთ რ. შენგელიას. იგი ძალებს არ ზოგავს, მაგრამ საქმისადმი ასეთი სერიოზული დამოკიდებულებითაც კი მას არ ძალუძს გადაწყვიტოს თამაშის ბედი.

გვაქვს სხვა პრობლემებიც, რომლებიც პირველ ყოვლისა დაკავშირებულია ძირითადი შემადგენლობის კომპლექტაციასთან, იმ ფეხბურთელთა გამოვლენასთან, რომლებსაც მხარს დააწვებათ პასუხისმგებლობის ძირითადი ტვირთი. დასამალი არაა, რომ სათანადო დონეზე არ დგას გუნდის ზოგიერთი მოთამაშის ოსტატობა, ტექნიკური დახელოვნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ ეს ყველაფერი გამოუსწორებელი ნაკლოვანებები არაა თუ კოლექტივის თითოეული წევრი, მათ შორის მწვრთნელებიც, საკუთარ თავს სერიოზულ მოთხოვნებს წაუყენებს, გააკეთებს წარუმატებლობათა მიზეზების ანალიზს და საკუთარ ბრალსაც შეიგნებს. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ ნეგატიური მოვლენების სიმპტომები გუნდში არა გვაქვს. სწორედ ეს გვაძლევს უფლებას ვიმედოვნოთ, რომ მდგომარეობა უახლოეს ხანებში გამოსწორდება.

ვფიქრობ, ამაში გარკვეულ როლს კულშემატკივრებიც შეასრულებენ, რომელთა მხარდაჭერა დინამოელთათვის ამჟამად მეტად დიდმნიშვნელოვანია“.

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის მატჩები.

### I ჯგუფი

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: შეროზია, ტიბუა-3 („დინამო“).

**„სულორი“ (ვანი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:2 მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: პაიკიძე, ორმოცაძე („სულორი“), ბართია-2 („სალხინო“).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: სვიმონიშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ჯაფარიძე („მადნეული“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი ნ. სვიმონიშვილი, ხოლო სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის — ბოლნისელი ნ. დოლიძე.

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).** გოლები: ბერულავა, ჩიქობავა („ეგრისი“).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:1. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი).** გოლები: შამათავა („ამირანი“), ხუბეჯიშვილი („სპარტაკი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ოჩამჩირელი ფეხბურთელი მ. შელია, გააფრთხილეს, აგრეთვე, ცხინვალელი ფეხბურთელები რ. კობალაძე და ა. ტუაევი, რომლებიც მსაჯს ეკამათებოდნენ.

**ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 2:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: გეგუჩაძე, მაჩაიძე (ახ. საფეხ. სკ.), ხარაზიშვილი („ივერია“).

**„კახეთი“ (თელავი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:0. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: გვრიტიძე, აბდულაევი-2 („კახეთი“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 3:2. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: უკლება, ჩინჩალაძე-2 („საპოვნელა“), კუხიანიძე, კერესელიძე („შადრევანი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს თერჯოლელი ჯ. ჯულუხიძე, ხოლო მსაჯთან კამათისთვის — მისი თანაგუნდელი ა. ჯინიყაშვილი. მათ გარდა გააფრთხილეს „შადრევანის“ ფეხბურთელი ა. კერესელიძე, რომელმაც არ დაიცვა 9-მეტრიანი მანძილი.

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:0. მსაჯი გ. გაბესკირია (სოხუმი).** გოლები: ხამაშურიძე, ჩიგოგიძე, ჩხაიძე („მერცხალი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს მახარაძელი გ. როყვა, ხოლო მსაჯთან კამათისთვის — მცხეთელი ვ. ბექაური.

**„დინამო“ (გაგრა) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:1. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლები: რაგანიანი („დინამო“), ნიკოლაიშვილი („სქური“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს წალენჯიხელი კ. შანავა და გაგრელი გ. ლოლუა.

**„კოლხეთი“ (ხობი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 3:1. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).** გოლები: ლატარია, გვასალია, ღლონტი („კოლხეთი“), კ. ქარჩავა („სამეგრელო“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს „სამეგრელოს“ მოთამაშე ბ. გოგუა.

**„დინამო-2“-„იმედი“ (თბილისი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: ამბიძე („დინამო-2“-„იმედი“), ხავთასი („იმერეთი“).

## საქართველოს პირველობა

### II ჯგუფი

#### I ქვეჯგუფი

უნივერსიტეტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 3:0, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „სამგორი“ (გარდაბანი) 0:2, „შირაქი“ (წითელი წყარო) — სასწ. საცდ. მეურნეობა (მუხრანი) 0:1, „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) — „ფოსტამტი“ (თბილისი) 1:0, „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) — „მეტალისტი“ (რუსთავი) 1:3, „მიონი-35“ (თბილისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:3, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „მშენებელი“ (რუსთავი) 1:1, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „სინათლე“-„სპორტინტერნატი“ (თბილისი) 3:0, „ქიზიყი“ (სიღნაღი) — — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 1:0.

#### II ქვეჯგუფი

„განთიადი“ (კასპი) — „თრიალეთი“ (წალკა) 1:0, „ალგეთი“ (მარნეული) — „ვარძია“ (ასპინძა) 2:0, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) 5:1, „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) — „თორი“ (ბორჯომი) 1:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 5:3, „ავტომობილისტი“ (გორი) — „აბული“ (ახალქალაქი) 1:0, „კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი) — „მეავეჯე“ (ახალდაბა) 5:0, „განთიადი“ (დმანისი) — „მარაბდა“ (კოდა) 0:1, „ბაგიათი“ (ჯავა) — „ზარზმა“ (ადიგენი) 0:3.

#### III ქვეჯგუფი

„ჰოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 1:2, „მეშაქრე“ (აგარა) — „ჩხეროშელა“ (ორჯონიკიძე) 1:4, „დეკ“ (სამტრედია) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 5:2, [illegible] — [illegible] 1:0, [illegible] (ჭიათურა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:3, „ზანა“ (აბაშა) — „ორპირი“ (ტყიბული) 5:0, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „მამისონი“ (ონი) 4:2.

#### IV ქვეჯგუფი

„განთიადი“ (გაგრა) — „განთიადი“ (ცხაკაია) 2:0, „მზიური“ (გალი) — „ალიონი“ (გალის რ-ნი) 4:2, „უნივერსიტეტი“ (სოხუმი) — „დვაბზუ“ (მახარაძე) 0:2, „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 3:2, „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:1, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) 1:3.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 2 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ | 5 | 4 | 1 | 0 | 10-3 | 9 |
| „შადრევანი“ | 5 | 4 | 0 | 1 | 10-6 | 8 |
| „სქური“ | 5 | 3 | 2 | 0 | 12-3 | 8 |
| „მერცხალი“ | 5 | 3 | 2 | 0 | 8-0 | 8 |
| „სამეგრელო“ | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 7 |
| „საპოვნელა“ | 5 | 3 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| „ამირანი“ | 5 | 3 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| „დინ-2“-„იმედი“ | 5 | 2 | 3 | 0 | 7-4 | 7 |
| „დინამო“ გ. | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 6 |
| „სალხინო“ | 5 | 1 | 4 | 0 | 5-4 | 6 |
| „ეგრისი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 5 |
| „კახეთი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 8-9 | 5 |
| ფიზკ. ინსტ. | 5 | 1 | 3 | 1 | 4-5 | 5 |
| „დინამო“ ზ. | 5 | 1 | 2 | 2 | 6-5 | 4 |
| „მადნეული“ | 5 | 1 | 2 | 2 | 6-6 | 4 |
| „ქართლი“ | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 4 |
| „დურუჯი“ | 5 | 1 | 2 | 2 | 2-5 | 4 |
| „სპარტაკი“ | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 3 |
| „მეტალურგი“ | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 3 |
| „არმაზი“ | 5 | 1 | 1 | 3 | 4-11 | 3 |
| „სულორი“ | 5 | 0 | 3 | 2 | 2-6 | 3 |
| ახ. საფეხ. სკ. | 5 | 1 | 0 | 4 | 4-11 | 2 |
| „იმერეთი“ | 5 | 0 | 2 | 3 | 4-9 | 2 |
| „ივერია“ | 5 | 0 | 0 | 5 | 4-9 | 0 |

## აპრილის კალენდარი

### I ჯგუფი

#### VI ტური

**4 აპრილი**

„მეტალურგი“ — ახ. საფეხ. სკოლა
„სამეგრელო“ — „დინ-2“-„იმედი“
„სპარტაკი“ — „კოლხეთი“
„მადნეული“ — „დინამო“ გ.
„სალხინო“ — „საპოვნელა“
„დურუჯი“ — „სულორი“

**5 აპრილი**

„იმერეთი“ — „ივერია“
„ქართლი“ — „ამირანი“
„სქური“ — „ეგრისი“
ფიზ. ინსტ. — „მერცხალი“
„შადრევანი“ — „არმაზი“
„კახეთი“ — „დინამო“ ზ.

#### VII ტური

**11 აპრილი**

„კახეთი“ — „მეტალურგი“
„სულორი“ — „დინამო“ ზ.
ფიზკ. ინსტ. — „შადრევანი“
„ამირანი“ — „სქური“
„სამეგრელო“ — „ივერია“
ახ. საფეხ. სკ. — „იმერეთი“

**12 აპრილი**

„საპოვნელა“ — „დურუჯი“
„არმაზი“ — „სალხინო“
„დინამო“ გ. — „მერცხალი“
„ეგრისი“ — „მადნეული“
„კოლხეთი“ — „ქართლი“
„დინ.-2“-„იმედი“ — „სპარტაკი“

#### VIII ტური

**18 აპრილი**

„სპარტაკი“ — „ივერია“
„სქური“ — „კოლხეთი“
„მადნეული“ — „ამირანი“
„შადრევანი“ — „დინამო“ გ.
„დურუჯი“ — „არმაზი“
„დინამო“ზ. — „საპოვნელა“

**19 აპრილი**

„მეტალურგი“ — „იმერეთი“
„ქართლი“ — „დინ.-2“-„იმედი“
„მერცხალი — „ეგრისი“
„სალხინო“ — ფიზკ. ინსტ.
„სამეგრელო“ — ახ. საფეხ. სკ.
„კახეთი“ — „სულორი“

#### IX ტური

**25 აპრილი**

„სულორი“ — „მეტალურგი“
„არმაზი“ — „დინამო“ ზ.
ფიზკ. ინსტ. — „დურუჯი“
„ეგრისი“ — „შადრევანი“
„ამირანი“ — „მერცხალი“
„ქართლი“ — „ივერია“
ახ. საფეხ. სკ. — „სპარტაკი“

**26 აპრილი**

„საპოვნელა“ — „კახეთი“
„დინამო“ გ. — „სალხინო“
„კოლხეთი“ — „მადნეული“
„დინ.-2“-„იმედი“ — „სქური“
„იმერეთი“ — „სამეგრელო“

12-13 აპრილი ხსოვნის დღეა

## ფეხბურთის „მოღალატე“ სახალხო არტისტი

„ეს მოხდა დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ, — იხსენებდა 1959 წელს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი კაპიტანი შოთა შავგულიძე, — ზუგდიდში, სადაც მაშინ ვცხოვრობდი, ნაჭრის ბურთზე (დასავლეთში ჭინჭის ბურთს რომ ეძახდნენ) აღზრდილ „ფეხბურთელებს“ ბედნიერება გვეწვია — როგორღაც ტყავის ბურთი და ფორმები შევიძინეთ... ამ დიდი ამბის აღსანიშნავად საქალაქთაშორისო მატჩი გავმართეთ ზესტაფონის „რჩეულებთან“ — ასე უწოდებდნენ მაშინ ნაკრებს.

ზესტაფონელთა რიგებში იყო სერგო ზაქარიაძე — ამ ახოვანმა ვაჟკაცმა, პლასტიურობითა და ლამაზი მოძრაობებით ყველას დაამახსოვრა თავი. თვალის დახამხამებაში ისე მოხდენილად დაუძვრებოდა ბურთიანად ორ-სამ მეტოქეს, თქვენგან მოწონებული... მაგრამ ეტყობა „სცენის მტვერმა“ გადასძლია, თორემ ტყავის ბურთს როგორ უღალატებდა.

თუმცა, ვისაც მისი სპორტული მონაცემები ახსოვს, დღესაც სინანულით ამბობს, სერგო ფეხბურთში ნაკლებწონიან სიტყვას როდი იტყოდაო. სხვათა შორის, მისი საფეხბურთო ტალანტის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი მეც გახლდით. ბურთმა ძალიან დაგვაახლოვა და ერთმანეთის გამოსვლებს — ჩემსას მინდორზე, სერგოსას სცენაზე — ყოველთვის ვესწრებოდით. მახსოვს, ომამდე თეატრის ფოიეში შემხვდა — მთავრობის ჯილდო, ორდენის მიღება მომილოცა. მე ვუთხარი:

— აი, ხომ ხედავ ორდენოსანი გავხდი, ფეხბურთისთვის თავი რომ არ დაგენებებინა, შენც მიაღწევდი რაღაცას...

რა ვიცოდი მომავალ სსრ კავშირის სახალხო არტისტს თუ ვსაყვედურობდი ფეხბურთის „ღალატს“.

**ჩაიწერა უშანგ ჭიჭინაძემ.**



### „შავი სალარო“

საქვეყნოდ გახმაურდა საფრანგეთის საფეხბურთო „შავი სალაროს“ საქმეები, რომელშიც გარეული არიან ამ ქვეყნის ფეხბურთის მესვეურნი და ათი ცნობილი ფეხბურთელი, მათ შორის საფრანგეთის ეროვნული გუნდის წევრები მიშელ პლატინი, პატრიკ ბატისტონი, ბერნარ ლიაკომბი და სხვანი.

წინასწარი ძიებით დადასტურდა, რომ ეს ფეხბურთელები 1976-1982 წლებში, „სენტ-ეტიენის“ კლუბის შემადგენლობაში გამოსვლის დროს, მაშინდელ მწვრთნელ რ. ერბენთან ერთად დიდ თანხებს ღებულობდნენ ე. წ. „შავი სალაროდან“. ამ საფეხბურთო მაქინაციათა თანხამ დაახლოებით 15 მილიონი ფრანკი შეადგინა.

უკანონო ფინანსური მაქინაციების ამბავი ფართოდ გახმაურდა. თვით მიშელ პლატინიმ, საფრანგეთის ეროვნული ნაკრების კაპიტანმა, განაცხადა: „ეს ძველი ისტორიაა, ამიტომ წყნარად მძინავს“. მაგრამ ფრანგ ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ საქმე შეიძლება გართულდეს, მ. პლატინისაც და მის პარტნიორებსაც საკმაოდ მკაცრი განსასჯელი ელით.

## ვეტერანთა პრიზებზე

სამარყანდში დამთავრდა სპორტის დამსახურებული ოსტატის ლევ იაშინის სახელობის საკავშირო ტრადიციული ტურნირი „დინამოს“ ფეხბურთელთა შორის.

პრიზის მფლობელი გახდა ბრიანსკის გუნდი, რომელმაც ფინალურ მატჩში ანგარიშით 2:1 დაამარცხა ბარნაულის „დინამო“. გამარჯვებული კოლექტივი, შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშეები პრიზებით დააჯილდოვა ლ. იაშინმა.

მოსკოვში, ცსკა-ს საფეხბურთო მძლეოსნური კომპლექსის მანეჟში მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელის ვსევოლოდ ბობროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა საფეხბურთო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, ლენინგრადის, საქართველოს, ლიტვის, სომხეთის, მოლდავეთის გუნდები, მოსკოვის ორი ნაკრები და ცსკა.

საფინალო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და საქართველოს ნაკრები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა ცსკა-მ. პრიზები გადასცეს ვ. ბობროვის ძველმა თანაკლუბელებმა, ცსკა-ს ფეხბურთელებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ვ. ნიკოლაევმა და ი. ნირკოვმა.

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში მოსკოვში გაიმართა კიდევ ერთი ტურნირი ჭაბუკ ფეხბურთელთა მონაწილეობით. იგი მიეძღვნა გამოჩენილი მწვრთნელის ვიქტორ მასლოვის ხსოვნას.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“, კლუბები, სადაც სხვადასხვა წლებში მუშაობდა ვ. მასლოვი. გაიმარჯვეს კიეველებმა—2:0. გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდნენ მოსკოვის ავტოქარხნის სპორტკლუბის წარმომადგენელი ნ. ჟიხარევი, მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდის უფროსი ი. ზოლოტოვი და წარსულში გამოჩენილი ფეხბურთელი ე. სტრელცოვი.

# სპორტული აპრილი

## რესპუბლიკური ღონისძიებები

**2-8. ბალახის ჰოკეი.** სსრ კავშირის თასის გათამაშება ვაჟთა შორის (შესარჩევი შეჯიბრება). **ქუთაისი.**
**3-5. ძიუდო.** ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშები: I ზონა — **თელავი. 11-13.** II ზონა — **ქუთაისი. 25-27.** ფინალი. **სოხუმი.**
**3-5. თავისუფალი ჭიდაობა.** ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშები, I ზონა — **ქუთაისი. 10-12.** II ზონა — **სიღნაღი.**
**18-20. თავისუფალი ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**
**4. IV.-8.V. კალათბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. **მიმოსვლით.**
**5. მძლეოსნობა.** საქართველოს პირველობა და ჩემპიონატი საგზატკეცილო რბენაში 1966-69 წწ. დაბადებულ გოგონათა, იუნიორთა და მოზრდილთა შორის. **მცხეთა. 19. კროსი.** საქართველოს პირველობა და ჩემპიონატი 1966-69 წწ. დაბადებულ გოგონათა, იუნიორთა და მოზრდილთა შორის. **ცხინვალი.**
**23-25. მძლეოსნური ოთხჭიდი.** რესპუბლიკური შეჯიბრება „მეგობრობა" — 1973-74 წწ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის. **თბილისი.**
**8-10. ველოსპორტი (ტრეკი).** საქართველოს პირველობა, ინდივიდუალური, გუნდური და გამოდევნებით რბოლა, ჯგუფური რბოლა — გოგონები, ჭაბუკები, იუნიორები. **თბილისი.**
**აპრილი. ხელბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. I ტური. **მიმოსვლით.**
**10-11. ბატუტზე ხტომა.** რესპუბლიკური შესარჩევი შეჯიბრება 1971-74 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის (II ჭაბუკთა თამაშების პროგრამით). **თბილისი.**
**11-17. რეგბი.** საქართველოს პირველობა, 1969-70 წწ დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ქუთაისი.**
**მშდ მრავალჭიდი.** წვევამდელთა რესპუბლიკური შეჯიბრება, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე 1969-70 წწ. დაბადებულ ახალგაზრდებს შორის. **11-12.** ზონალური შეჯიბრება. **გურჯაანი, ბორჯომი, ხაშური, გარდაბანი. 18-19.** ზონალური შეჯიბრება. **ზუგდიდი, ჭიათურა, ტყიბული.**
**11-15. მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს ღია ჩემპიონატი. **თელავი.**
**11-13. ქართული ჭიდაობა.** საქართველოს პირველობა 1966-68 წწ. დაბადებულ იუნიორთა შორის. **თელავი. 18-20.** საქართველოს ჩემპიონატი. I ზონა. **მცხეთა.**
**16-20. სამთო-სათხილამურო სპორტი.** რესპუბლიკური შეჯიბრება „ოლიმპიელები ჩვენს შორის". **გუდაური.**
**16-20. მშვილდოსნობა.** საქართველოს თასის გათამაშება. **ზუგდიდი.**
**18-19. აკადემიური ნიჩბოსნობა.** რესპუბლიკური შეჯიბრება 1969-71 წწ დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. (ჭაბუკთა II თამაშების პროგრამით). **ფოთი.**
**18-24. ფრენბურთი.** სსრ კავშირის თასის გათამაშება ქალთა შორის, I ეტაპი. **თბილისი.**
**19. კრივი.** საქართველოს გუნდური პირველობა. თბილისი — აფხაზეთი, რუსთავი — ქუთაისი. **კალენდარულად.**
**20. კრივი.** საქართველოს გუნდური პირველობა. ფოთი — თბილისი, აჭარა — სამხრეთ ოსეთი. **კალენდარულად.**
**21-26. კრივი.** საქართველოს პირველობა 1971-72 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. (ჭაბუკთა II თამაშების პროგრამით). **ცხინვალი.**
**20-26. ჩოგბურთი.** საერთაშორისო ტურნირი 1969-71 წწ დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**
**21-27. აფროსნობა.** უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სპორტული სკოლის ღია ჩემპიონატი მოზრდილთა შორის. **თბილისი.**
**23-26. სინქრონული ცურვა** — საქართველოს პირველობა 1970 წელს დაბადებულ და უმცროსი ასაკის გოგონათა შორის (ჭაბუკთა II თამაშების პროგრამით). **თბილისი.**
**23-26. ცხენოსნობა.** საქართველოს აბსოლუტური პირველობა დაბრკოლებათა გადალახვაში. **გაგრა.**
**23-27. ტყვიის სროლა.** საკავშირო შეჯიბრება. **სოხუმი.**
**23-26. აკრობატიკა.** საქართველოს თასის გათამაშება. **ბათუმი.**
**24-26. კლასიკური ჭიდაობა.** საქართველოს პირველობა 1965-66 წწ. დაბადებულ იუნიორთა შორის. **სიღნაღი.**
**25-26. სახანძრო გამოყენებითი სპორტი.** XIII ღია შეჯიბრება სსრ კავშირის სპორტის ოსტატ ბ. შანიძის პრიზზე. **თბილისი.**
**25-26. ნიჩბოსნობა** (ბაიდარა და კანოე). რესპუბლიკური შეჯიბრება 1969-71 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის (ჭაბუკთა II თამაშების პროგრამით). **ფოთი.**
**25-30. ხელბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი ქალთა შორის. I წრე. **ქუთაისი.**
**25-30. შაში.** რესპუბლიკური შეჯიბრება. **რუსთავი.**
**27.IV — 3.V. ჩოგბურთი.** სსრ კავშირის გმირის ვ. ლეჟავას მემორიალი. **თბილისი.**
**28-30. მხატვრული ტანვარჯიში.** საერთაშორისო შეჯიბრება ჟურნალ „საქართველოს ქალის" პრიზზე. **თბილისი.**

# დავით ჩირაძე



ქართულმა საჭადრაკო სამყარომ დიდი დანაკლისი განიცადა — 67 წლისა გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი დავით გიორგის ძე ჩირაძე.

განათლებით პედაგოგს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ჭადრაკის კარგ მცოდნესა და მოყვარულს დიდი მეგობრობა აკავშირებდა ვახტანგ ქარსელაძესთან. სწორედ ვახტანგმა — ამ ნიჭიერმა მწვრთნელმა და პედაგოგმა შეაცვლევინა მას პროფესია: 1949 წლიდან დავით ჩირაძემ ნორჩი მოჭადრაკეების აღზრდას მიჰყო ხელი. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში თითქმის ორმოცი წელი ემსახურა იგი თავის გატაცებას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეისწავლეს ჭადრაკის ანბანი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ, მსოფლიო ჩემპიონმა სტუდენტთა შორის, საერთაშორისო დიდოსტატმა თამაზ გიორგაძემ, ცნობილმა მოჭადრაკეებმა, და-ძმა გულნარა და გურამ ბუცხრიკიძეებმა, ალექსანდრე რაზოვსკიმ, გიორგი მენაბდემ და სხვებმა.

დ. ჩირაძემ აღზარდა ნიჭიერ მწვრთნელთა მთელი პლეადა; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები გიორგი ქანთარია, თენგიზ ხარლამიდი, ზურაბ ბურკაძე და სხვები წარმატებით აგრძელებენ სახელოვანი მასწავლებლის დაწყებულ საქმეს.

დ. ჩირაძე დაჯილდოებული იყო მედლებითა და საპატიო სიგელებით.

ძნელია განშორება სპეტაკ, სათნო ადამიანთან, რომლის ცხოვრების მიზანი საყვარელი საქმის ერთგულება გახლდათ.

**საქართველოს სსრ ჭადრაკის ფედერაცია, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი.**

# ჯერ მხოლოდ დასაწყისია

დასასრული

ბოლო, 135-ე კილომეტრზე ფაქტიურად სპრინტერული რბოლა გაიმართა. იგი პირად ჩათვლაში მოასპარეზე თბილისის არმიის სპორტული კლუბის ველოსიპედისტმა გენადი გოდუნოვმა მოიგო — 3:34.09. მას ორი მონაწილე მოჰყვა, რომლებმაც ფინიშის ხაზი ერთდროულად გადაკვეთეს და ამის გამო, ცხადია, დროც ერთნაირი აღმოაჩნდათ (3:34.19). მეორე ადგილი „კოლმეურნის" წარმომადგენელს ხვიჩა ბარბაქაძეს მიენიჭა, მესამე — ხერსონელ ველოსიპედისტს მიხეილ კნიაზევს.

გუნდურ ჩათვლაში ეტაპი ლატვიის პირველი გუნდის წარმომადგენლებმა მოიგეს — 10:44.43. მომდევნო ადგილებზე „განთიადის" (10:45.06) და ლატვიის მეორე კოლექტივის (10:45.57) ველოსიპედისტები გავიდნენ.

ორი ეტაპის შემდეგ რაიმე დასკვნის გაკეთება ნაადრევია, მით უფრო, რომ ამინდი რბოლის მონაწილეებს ხელს არ უწყობდა. ამიტომ ჯერჯერობით მხოლოდ პრიზიორთა სამეულს დაგისახელებთ, რომლებიც მესამე ეტაპის წინ დაწინაურდნენ:

**პირადი ჩათვლა.** 1. მიხეილ კნიაზევი (ხერსონის „ტრუდი") — 3:55.07, 2. გენადი გოდუნოვი (ასკ თბილისი) — 3:55.11, 3. აივარ სკუტელისი (ლატვია I) — 3:55.25.

**გუნდური ჩათვლა.** 1. ლატვია I — 11:46.35; 2. „განთიადი" — 11:50. 02; 3. ლატვია II—11:51.00.

**გუშინ...**

**თბილისის მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილენი რუსთავში ასპარეზობდნენ ავტოდრომის რკალურ ტრასაზე (20 წრე, 88 კმ). ეს ეტაპი ლატვიის პირველი გუნდის წარმომადგენელმა ძინტარს უდრონიშმა მოიგო. მეორე ადგილზე მისი თანაგუნდელი კასპარ ოზერსი გავიდა, მესამეზე — თბილისის არმიელი გენადი გოდუნოვი (დრო სამივე მონაწილეს ერთნაირი აქვს — 1:50.50). სამი ეტაპის ჯამში პრიზიორთა ტრიო ასე გამოიყურება: 1. გენადი გოდუნოვი — 5:45.56, 2. მიხეილ კნიაზევი („ტრუდი" ხერსონი) — 5:45.57, 3. კასპარ ოზერსი — 5:46.08. გუნდური ადგილები: 1. ლატვია I — 17:19.05; 2. „განთიადი" (თბილისი) — 17:22.32, 3. ლატვია II—17:23.30.**

# საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

### ინგლისი

შაბათს „ლივერპული" შინ დამარცხდა „უიმბლდონთან" — 1:2. გადამწყვეტი გოლი სტუმრებმა შეხვედრის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე გაიტანეს. დებიუტანტი — „უიმბლდონი" ამ სეზონში ძალიან კარგად თამაშობს: ჩემპიონატში მე-8 ადგილზეა, ხოლო თასის გათამაშებიდან „ევერტონი" გამოთიშა.

დაკარგული ქულებით „ლივერპულს" გაუსწრო „ევერტონმა", რომელმაც ლონდონში დაამარცხა „არსენალი" — 1:0. ბურთი 22-ე წუთზე გაიტანა უეინ კლარკმა. მან „ევერტონის" შემადგენლობაში მეოთხე შეხვედრა ჩაატარა. ზედიზედ ხუთი დამარცხების შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა „ვესტ ჰემ იუნაიტედმა", რომელმაც „უოტფორდს" სძლია — 1:0.

სხვა შეხვედრები: „ასტონ ვილა" — „კოვენტრი სიტი" 1:0, „ლესტერ სიტი" — „მანჩესტერ სიტი" 4:0, „ლუტონ თაუნი" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" 3:1, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ნოტინგემ ფორესტი" 2:0, „ნიუკასლ იუნაიტედი" — „საუთჰემპტონი" 2:0, „ოქსფორდ იუნაიტედი" — „შეფილდ უენზდი" 2:1, „ქუინზ პარკ რეინჯერსი" — „ნორვიჩ სიტი" — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 35 | 61:34 | 67 |
| „ევერტონი" | 33 | 60:26 | 64 |

### საფრანგეთი

შაბათს 45 ათასი მაყურებელი დაესწრო „სენტ ეტიენისა" და მარსელის „ოლიმპიკის" შეხვედრას. მატჩის ბედი „ოლიმპიკის" თავდამსხმელის კუბენის თავურმა დარტყმამ გადაწყვიტა — 1:0. სტუმრების გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი მათი მეკარის — ბელის ბრწყინვალე თამაშმა. „ბორდომ" დაამარცხა „ნანსი" — 4:2. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ტურემ (2), ფერერიმ და ვუიოვიჩმა. „ნანტი" საკუთარ მოედანზე დამარცხდა „ოსერთან" — 0:1. ამ შეხვედრაში დაშავდა არგენტინელი ბურუჩაგა, რომელიც „ნანტში" თამაშობს. „ლილისა" და „მონაკოს" შეხვედრაში, რომელიც ფრედ (1:1) დამთავრდა, ორივე ბურთი უცხოელმა ფეხბურთელებმა გაიტანეს: მასპინძელთაგან — ბელგიელმა დესმეტმა, ხოლო სტუმართაგან — დანიელმა ლერბიმ.

სხვა შეხვედრები: „რასინგი" (პარიზი) — „ტულუზა" 0:0, „ნიცა" — „ლავალი" 2:1, „მეცი" — „ბრესტი" 3:0, „სოშო" — „ლე ავრი" 2:1, „რენი" — „პარი სენ ჟერმენი" 0:0, „ტულონი" — „ლანი" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბორდო" (ბორდო) | 29 | 43:18 | 42 |
| „ოლიმპიკი" (მარს.) | 29 | 40:18 | 42 |

### გფრ

შაბათს მიუნხენის „ბაიერნმა" სტუმრად დაამარცხა „ჰამბურგი" (2:1) და კიდევ უფრო განიმტკიცა მდგომარეობა. ანგარიში პირველ ტაიმში „ბაიერნში" მოთამაშე დანიელმა ლარს ლუნდემ გახსნა. მასპინძლებმა მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე აღადგინეს წონასწორობა, მაგრამ 87-ე წუთზე მიჰაელ რუმენიგემ გამარჯვება მოუტანა „ბაიერნს".

ბოლო ხუთ შეხვედრაში მხოლოდ 1 ქულა დაკარგა „კიოლნმა", რომელმაც მანჰაიმის „ვალდჰოფს" სძლია — 2:1. ასეთივე ანგარიშით მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" დაამარცხა „ბოხუმი", „კაიზერსლაუტერნმა" — ფრანკფურტის „აინტრახტი", ხოლო „შალკე 04"-მა — „შტუტგარტი". სხვა მატჩები: „ბორუსია" (დორტმუნდი) — „ბაიერნი" (იურდინგენი) 1:1, „ფორტუნა" (დიუსელდორფი) — „ჰამბურგი" 1:0, „ვერდერი" (ბრემენი) — „ბლაუ ვაისი" (ბერლინი) 2:0, „ნიურნბერგი" — „ბაიერი" (ლევერკუზენი) 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 22 | 43:22 | 32 |
| „ჰამბურგი" | 22 | 42:24 | 29 |
| „ბაიერი" (ლევერ.) | 21 | 39:22 | 27 |

### იტალია

კვირას „ნაპოლიმ" დაამარცხა „იუვენტუსი" 2:1 და ისევ ხუთი ქულით უსწრებს „მდევრებს". „იუვენტუსს" აკლდა ბრიო, კაბრინი და ლაუდრუპი. მოულოდნელად დამთავრდა შეხვედრა უდინეში, სადაც აუტსაიდერმა „უდინეზემ" სძლია „რომას" — 2:1. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს (ნელა), მაგრამ გრაციანისა და სტორგატოს გოლებმა გამარჯვება მასპინძლებს მოუტანეს. გამარჯვების მიუხედავად, „უდინეზეს" ლიგაში ადგილის შენარჩუნების შესაძლებლობა თითქმის არა აქვს.

ასევე მოულოდნელი იყო „მილანის" დამარცხება შინ გენუის „სამპდორიასთან" — 0:2. გოლები ვიალიმ და ტონინიო სერეზომ გაიტანეს, ხოლო მილანელმა გალდერიზიმ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი. მილანის „ინტერმა" ფრედ (0:0) ითამაშა სტუმრად „ტორინოსთან", „კომომ" დაამარცხა „ატალანტა" — 2:1. ბორგონოვოს ორ გოლს „ატალანტამ" მხოლოდ სტრიომბერგის ბურთით უპასუხა.

სხვა შეხვედრები: „ბრეშია" — „აველინო" 2:0, „ფიორენტინა"— „ასკოლი" 2:1, „ელასი" (ვერონა) — „ემპოლი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნაპოლი" | 24 | 36:14 | 36 |
| „რომა" | 24 | 33:18 | 31 |
| „ინტერი" | 24 | 29:15 | 31 |
| „იუვენტუსი" | 24 | 33:22 | 30 |

### ბელგია

ბრიუსელის გუნდების „რესინგ იეტისა" და „ანდერლეჰტის" შეხვედრა ლიდერის გამარჯვებით (3:1) დამთავრდა, ორი ბურთი გაიტანა ავსტრალიელმა კრნჩევიჩმა. ასეთივე ანგარიშით „მეხელენმა" დაამარცხა „სერკლ ბრიუგე" (მარტენსი, რუტიესი, დენ ბური).

სხვა შეხვედრები: „ბევერსხოტი" — „გენტი" 1:1, „ბრიუგე" — „ბერჰემი" 5:0, „შარლერუა" — „სერანჟი" 5:0, „სტანდარდი" — „ანტვერპენი" 0:1, „ვარეგემი" — „ლიეჟი" 3:1, „ლოკერენი" — „ბევერენი" — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეჰტი" | 25 | 63:21 | 41 |
| „მეხელენი" | 25 | 41:10 | 41 |

### ჰოლანდია

ლიდერების „ეინდჰოვენისა" და „აიაქსის" შეხვედრა „ეინდჰოვენის" გამარჯვებით (1:0) დამთავრდა. გოლი შეხვედრის 83-ე წუთზე რუუდ გულიტმა გაიტანა. შემდეგ სეზონში იგი, ისევე როგორც „აიაქსის" საუკეთესო ფეხბურთელი ვან ბასტენი, იტალიის „მილანში" ითამაშებს.

სხვა შეხვედრები: „გოუ ეჰედ იგლზი" — „ზვოლე" 0:3, „ვეენდამი" — „ექსელსიორი" 2:3, „ფორტუნა" (სიტარდი) — „დერ ჰააგი" — 4:0, „უტრეხტი" — „გრონინგენი" 1:0, „ფეიენოორდი" — „ტვენტე" 5:0, „ვეენლო" — „სპარტა" 1:1.

**„აიაქსი" — 42 ქულა (25 თამაშიდან).**
**„ეინდჰოვენი" — 41 (23).**

# ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 2 აპრილი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **21.20 (2);** შეჯიბრება ავტოსპორტში ჟურნალ „ზა რულიომ"-ის პრიზზე — **23.10 (2).**

**3 აპრილი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დნეპრი" — „დინამო" (კიევი) — **20.00 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 2 აპრილი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში: „ლოკომოტივი" (თბილისი) — „პრიმორეცი" (ლენინგრადი) **23.20.**

**3 აპრილი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" — **19.00;** „გურია" — „ქაირათი" — **22.45.**

**საქართველოს რადიო. 3 აპრილი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" — **20.00,** „გურია"— „ქაირათი" — **22.00.**

# სპორტულ ბაზებზე

**რეგბი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). 2 აპრილი. „ლოკომოტივის"** სტადიონი. **„ლოკომოტივი" (თბილისი) — პრიმორეცი" (ლენინგრადი).** დასაწყისი 18 საათზე.

# გაიხსნა ახალი მაღაზია

თბილისში, ლენინის მოედანზე, № 4 სახლის პირველ სართულზე, გაიხსნა სპორტული წიგნის სპეციალიზებული მაღაზია „ისინდი".

ამჟამად მიღებულია შემდეგი წიგნები: ა. გოგელია — „ასეთია სპორტული ცხოვრება"; ნ. გუგუშვილი — „თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა"; დ. ჟვანია — „რბენა ჯანმრთელობისათვის"; გ. ტორაძე — „ქართული ფეხბურთის დიდოსტატები", ნ. მოსოვი — „ფიქრები ჯანმრთელობაზე"; დ. რიგერტი — „ლითონის მადლიერნი"; ვ. ლეიბოვსკი — „გიძლევნით თამაშს".

ეწვიეთ ჩვენს მაღაზიას!

**საქწიგნი.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 280096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 06856

ეროვნული ბიბლიოთეკა